გაითვალისწინეთ, აღნიშნული ტესტი არის მხოლოდ ფინალური ტურის ნიმუში. ფინალურ ტურში დაგხვდებათ 12 საკითხი. გისურვებთ გამარჯვებას!

მე-4 კლასი

1. **(4 ქულა)** სამი დღის განმავლობაში ქეთი ვიდეოებს იღებდა. ყოველ დღე ქეთი იღებდა ორით მეტ ვიდეოს, ვიდრე წინა დღეს. ჯამში რამდენი ვიდეო შეიძლება გადაეღო ქეთის ამ სამი დღის განმავლობაში?
ა. 8 ბ. 9 გ. 10 დ. 11

შეკითხვებს უპასუხეთ მოცემული ცხრილის მიხედვით. ცხრილში ნაჩვენებია რომელ თვეს რამდენი მოსწავლე სწავლობდა ინგლისური ენის ცენტრში.

თვე	მოსწავლეების რაოდენობა	სამუშაო საათი
სექტემბერი	15	16
ოქტომბერი	18	24
ნოემბერი	28	24
დეკემბერი	26	24
იანვარი	11	8
თებერვალი	20	16

2. **(7 ქულა)** რომელ თვეში იყო მოსწავლეთა რაოდენობა ყველაზე დიდი?
ა. იანვარში
ბ. თებერვალში
გ. ნოემბერში
დ. დეკემბერში

3. **(11 ქულა)** რამდენი განსხვავებული მოსწავლე სწავლობდა სექტემბერი-იანვარში ამ ცენტრში?
ა. 20
ბ. 28
გ. 118
დ. ვერ დავადგენთ

4. **(6 ქულა)** რამდენჯერ გვხვდება ციფრი "4" 1-დან 71-მდე?
ა. 12 ბ. 13 გ. 14 დ. ჩამოთვლილთაგან არც ერთია სწორი

5. **(9 ქულა)** ფერმაში სულ 30 ჯანმრთელი და უვნებელი ქათამი და კურდღელია. ვიცით, რომ ამ ცხოველების ფეხების ჯამი უდრის 100-ს. რამდენი კურდღელია ფერმაში?
ა. 8 ბ. 10 გ. 20 დ. 40

6. **(8 ქულა)** სოფომ დაზოგა 15 ლარი პირველ თვეში, 30 - მეორე თვეში, 45 - მესამე თვეში და ა.შ. ვიცით, რომ ბოლო თვეში მან დაზოგა 120 ლარი. რამდენი ფული დაზოგა სოფომ ჯამურად?
ა. 210 ბ. 300 გ. 420 დ. 540